

შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპ“

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	2019	2018	2017
ამონაგები	4	3035346	3019975	2470593
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(1533226)	(1250624)	(1080364)
საერთო მოგება		1502120	1769351	1390230
სხვა შემოსავლები		0	0	0
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1522142)	(1308829)	1257521)
მიწოდების დანახარჯები		0	0	0
სხვა შემოსულობები (ზარალი)-წმინდა		1687	2410	795
სხვა ხარჯები		(9452)	(3220)	(43422)
სულ საოპერაციო მოგება		(27787)	459712	90081
ფინანსური შემოსავალი		0	0	0
ფინანსური ხარჯი	7	(13109)	(5105)	(7072)
ფინანსური ხარჯი-წმინდა		(13109)	(5105)	(7072)
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		(40896)	454607	83009
მოგების გადასახადოს ხარჯი		(17880)	(11163)	0
წმინდა მოგება		(58777)	443444	83009
სხვა სრული შემოსავალი		0	0	0
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(58777)	443444	83009

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2020 წლის 10 სექტემბერს.

მთავარი ბუღალტერი

5-ქატიკა

ანა გასიტაშვილი

დირექტორი

ქატიკა

ტარიელი ზარანდია

შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპი“

დართული შენიშვნები მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

	<u>შენიშვნა</u>	<u>31 დეკემბერი 2019</u>	<u>31 დეკემბერი 2018</u>	<u>31 დეკემბერი 2017</u>
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		436590	205504	172868
საინვესტიციო ქონება		0	0	0
ბიოლოგიური აქტივი		0	0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		436590	205504	172868
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	101681	48992	25837
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10	213554	315055	155428
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11	2842	16053	1266
სულ მიმდინარე აქტივები		318078	380100	182531
სულ აქტივები		754668	585604	355399
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	250	250	250
გაუნაწილებელი მოგება		97629	310434	(69748)
სულ კაპიტალი		97879	310684	(69498)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	2448	7528	13913
ანარიცხები		0	0	0
გადავადებული შემოსავალი		60391	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		62839	7528	13913
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	203774	201912	300313
საგადასახადო ვალდებულება		32102	39983	60950
მოკლევადიანი სესხები		356213	23637	47861
გადასახდელი პროცენტები		1861	1861	1861
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		593950	267392	410984
სულ ვალდებულებები		656789	274921	424897
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		754668	585604	355399

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

ანა გასიტაშვილი

ტარიელი ზარანდია

შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპ“

დართული შენიშვნები მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	250		(69747)	(69498)
წმინდა მოგება			443444	443444
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი			443444	443444
გაცემული დივიდენდი			(63263)	(63263)
საწესდებო კაპიტალის ზრდა				
2018 წლის 31 დეკემბერი	250		310434	310684
წმინდა მოგება			(58777)	(58777)
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი			(58777)	(58777)
გაცემული დივიდენდი			(154027)	(154027)
საწესდებო კაპიტალის ზრდა				
2019 წლის 31 დეკემბერი	250		97629	97879

მთავარი ბუღალტერი



ანა გასიტაშვილი

დირექტორი



ტარიელი ზარანდია

შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპ“

დართული შენიშვნები მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

(ლარი)

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა	3744924	3429153
მომწოდებელზე გადახდილი სახსრები	(2253571)	(2047149)
გადახდილი ხელფასები	(759785)	(694085)
გადახდილი გადასახადები	(575324)	(570458)
ფულადი ნაკადები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	(27380)	(6621)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	128863	110838
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/რეალიზაცია	(312241)	--
არამატერიალური აქტივების შეძენა/რეალიზაცია	--	--
სხვა საწარმოს წილის შეძენა/რეალიზაცია	--	--
გაცემული სესხები	--	--
ფიუჩერული, ფორვარდული, ოფციონების და სხვა სვოპ კონტრაქტების შეძენა/რეალიზაცია	--	--
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(312241)	--
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
აქციების და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები	--	--
მესაკუთრეთა მიერ კაპიტალის შემცირების შედეგად	--	--
გაცემული ფულადი სახსრები	--	--
მოთხოვნები საქვეანგარიშოდ გაცემულ პირებზე	--	--
მიღებული სესხები	512000	--
მიღებული პროცენტები	--	--
გადახდილი პროცენტები	(302)	--
გადახდილი დივიდენდები	(144325)	(60100)
სესხის დასაფარად გადახდილი თანხები	(196845)	(35714)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	170526	(95814)
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	(12852)	15025
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(358)	(238)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	16053	1266
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	2842	16053

მთავარი ბუღალტერი

ანა გასიტაშვილი

დირექტორი

ტარიელი ზარანდია

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპ“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2012 წელს. (სარეგისტრაციო ნომერი 404427624) საქართველოში ქალაქ თბილისში;

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრე არის ფიზიკური პირი ტარიელი ზარანდია 100% წილის მფლობელი;

2012 წლიდან (კომპანიის დაარსებიდან) კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვების წარმოება და მიწოდება მომსახურე კომპანიებისათვის. კომპანია გაყიდვებს მთლიანად აწარმოებს საქართველოს ტერიტორიაზე; კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კერესელიძის #17ა, ხოლო კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, წყალსადენის #20.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო/ლარი	3.2095	3.0701

2. მომზადების საფუძველი

2020 წლის 30 სექტემბერს კომპანიამ მოამზადა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს-ის სტანდარტები“) მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა მსს ფასს-ის სტანდარტების საფუძველზე. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა ყველა მსს ფასს-ის სტანდარტების მოთხოვნები, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა არ გამოიყენებს, რომ ამგვარი ცვლილებების გამო მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას გარკვეული კორექტირებები დასჭირდეს;

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველ ათანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარი), თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები:

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

საწარმო მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვისათვის იყენებს მოკლევადიან/გრძელვადიან კლასიფიკაციას.

აქტივი არის მოკლევადიანი თუ:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისათვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში, ან ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება არის მოკლევადიანი თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში ან
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან

ყველა სხვა სახის ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად

ამონაგები

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდისაა გადახდა მიღებული, შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისარები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით,

შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის რეალიზაცია

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის არიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადავა მყიდველზე, როგორც წესი, საქონლი სმიწოდებისთანავე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მანქანა-დანადგარები, სარტანსპორტო საშუალებები, ოფისის და სხვა აღჭურვილობა აღრიცხულია ტვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა.

ძირითადი საშუალებების მუხლის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის ნასყიდობის ღირებულებას, მათ შორის იმპორტის მოსაკრებელს და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდათმობების და ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ. (ბ) ნებისმიერ თვითღირებულება სრომელიც პირდაპირ უკავშირდება მუხლის მისთვის საჭირო ადგილზე და პირობებში მისათანად. რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით ფუნქციონირება.

ამის შემდეგ, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესებების და ჩანაცვლებების მთავარ დანახარჯებს, რომელიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ზრდი სმათ მიერ შემოსავლის გენერირების შესაძლებლობას, რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოთ ხსენებულ კრიტერიუმებს, აისახება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში, მათი გაწვევისთანავე.

ძირითად აქტივებზე ცვეთა ირიცხება ისეთი ფორმით, რომ ჩამოიწეროს ცვეთადი ღირებულება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ის დაანგარიშდება კლებადი ნაშთის მათოდის გამოყენებით.

თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სასესხო ინსტრუმენტების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივიპირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება როგორც განსხვავების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავლისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება ფასდება მაშინ როდესაც არსებობს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ იღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

თვითღირებულება დაანგარიშდება საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდის გამოყენებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს. ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდებთან სპორტირებისათვის და სატანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

4. ამონაგები

	2019	2018
წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავალი	3035346	3019975
სხვა შემოსავალი	1687	2410
	<u>3037033</u>	<u>3022385</u>

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2019	2018
წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება	1533226	1250624
	<u>1533226</u>	<u>1533226</u>

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2019	2018
ხელფასების ხარჯი	764301	885309
ცვეთა	47091	26529
საიჯარო ქირის ხარჯი	53765	100108
საწვავის ხარჯი	62155	46500
სხვა საოპერაციო ხარჯები	511394	170843
კომუნალური ხარჯები	78 180	74489
თანამშრომლის სწავლის და დაფინანსების ხარჯი	--	3200
საბანკო ხარჯი	5256	1851
	<u>1522142</u>	<u>1308829</u>

7. ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

	2019	2018
საპროცენტო ხარჯი	13109	5105
	<u>13109</u>	<u>5105</u>

8. დივიდენდები

2018 წელს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები 63263 ლარის ოდენობით.

2019 წელს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები 154027 ლარის ოდენობით.

9. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნედლეული	47918	48992	25837
სხვა დამხმარე საშუალებები	53763	0	0
	101681	48992	25837

10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	213554	315055	155428
	213554	315055	155428

11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფულადი სახსრები	2842	16053	1266
	2842	16053	1266

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

დარიცხული საპროცენტო ხარჯი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5105 ლარს.

დარიცხული საპროცენტო ხარჯი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 13109 ლარს.

13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ეროვნულ ვალუტაში	203774	201912	300313

14. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 250 ლარს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 250 ლარს.

15. პირობითი ვალდებულებები:

ვალდებულებები - კომპანიას არ აქვს არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2019 წლის, 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სამართალწარმოები - 2019 წლის, 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული რაიმე სახის მნიშვნელოვან სამართალწარმოებაში.

16. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

კორონა ვირუსის სწრაფმა გავრცელებამ, რომელიც პანდემიად იქნა გამოცხადებული მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოიწვია მნიშვნელოვანი არამდგრადობა, რომელიც გავლენას ახდენს გლობალურ ბიზნესსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე. იზრდება ალბათობა, რომ პანდემიისას განვითარებულმა მოვლენებმა და მისი შეკავების ღონისძიებებმა დიდი გავლენა იქონიოს ეკონომიკაზე და შესაძლოა გამოიწვიოს გლობალური რეცესია. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარებას და ინფექციის გავრცელების შესაძლო გავლენას კომპანიის საქმიანობაზე, კერძოდ, ბიზნეს მოდელზე, მომსახურებისა და საქონლის მიწოდებაზე, მომხმარებლებსა და სამუშაო კაპიტალზე, თუმცა ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოხსენებული ნეგატიური ფაქტორი არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.